



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე



ბრძანება: ბ49.49221092

თარიღი: 19/04/2022

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის 2022 წლის 18 აპრილის 48-482210885 წერილი, რომლითაც მერი შემოდის წინადადებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ. ვინაიდან წერილში მითითებული საკითხები არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ სასწრაფოდ განხილვას, ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2022 წლის 18 აპრილის 13 : 00 საათზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს. არჩილ ღიბრაძე/

2) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების შესახებ“ 2022 წლის 25 თებერვლის N 5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს. მაკა ჭელიძე/

3) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება - „მერსედეს ბენცის“ მარკის სპეციალიზებული ავტომობილის,

საიდენტიფიკაციო ნომერი WDAYMC949EL820617, სახელმწიფო ნომერი JT570JT - ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და დასუფთავების გაერთიანებისთვის“ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს. რევაზ დიდავა/

4) „ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქ. N8 ბინაზე პლატონ ხევსურიალის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს. რევაზ დიდავა/

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

- ა) ბრძანების გამოქვეყნება;
- ბ) საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;
- გ) საკრებულოს წევრთა რეგისტრაცია 12:30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს გელა თათარაშვილს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

